



სტრასბურგი/პარიზი/სპლიტი, 19 ივნისი 2013  
DGII/EDU/HE (2012)  
ED-2012/UNESCO  
ორიგინალი: ინგლისურ ენაზე

## ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების კონვენციის კომიტეტი

### კონვენციის დამატებითი ტექსტი

### რეკომენდაცია უცხოური კვალიფიკაციების აღიარებისას კვალიფიკაციების ჩარჩოს გამოყენების შესახებ

ევროსაბჭოს II გენერალური დირექტორატი (დემოკრატიული მონაწილეობისა და მოქალაქეობის დირექტორატი - საგანმანათლებლო პოლიტიკა და უფლებების განყოფილება) და იუნესკოს მასწავლებელთა განვითარებისა და უმაღლესი განათლების განყოფილება

გავრცელება: ლისაბონის აღიარების კონვენციის(LRC) კომიტეტი

**რეკომენდაცია**  
**უცხოური კვალიფიკაციების აღიარებისას კვალიფიკაციების ჩარჩოს**  
**გამოყენების შესახებ**

**პრეამბულა**

ევროსაბჭოს/იუნესკოს ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების კონვენციის<sup>1</sup> კომიტეტი,

*ითვალისწინებს რა, რომ* ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიზანია წევრებს შორის მეტი ერთიანობის მიღწევა და რომ ამ მიზნისკენ სვლა შესაძლებელია კულტურის საკითხებზე ერთობლივი საქმიანობით და უმაღლეს განათლებაში რეფორმების ხელშეწყობით;

*იღებს რა მხედველობაში* ევროსაბჭო/იუნესკოს კონვენციას ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების შესახებ;

*იღებს რა მხედველობაში* ევროპის კულტურის კონვენციას;

*იღებს რა მხედველობაში* ევროპელი მინისტრების მიერ ბოლონიაში 1999 წლის 19 ივნისს მიღებულ დეკლარაციასა და ბოლონიის პროცესის მინისტრიალებზე მიღებულ კომუნიკებს, განსაკუთრებით რეკომენდაციებს კვალიფიკაციების ჩარჩოსა და იმ როლის შესახებ (სუბნაციონალური, ნაციონალური და საერთო), რომელიც მან შეიძლება ითამაშოს უმაღლესი განათლების რეფორმირებისას, როგორც ევროპაში ასევე იუნესკოს ევროპის რეგიონს მიკუთვნებულ ქვეყანაში, რომელიც არაა ჩართული ამ პროცესში, რომელსაც აქვს ან განზრახული აქვს შეიმუშაოს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო;

*იღებს რა მხედველობაში* ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების შესახებ ევროსაბჭო/იუნესკოს კონვენციის ფარგლებში მიღებულ დამხმარე ტექსტებს: ტრანსნაციონალური განათლების განხორციელების საუკეთესო გამოცდილების კოდექსს, უცხოური კვალიფიკაციების შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების განახლებულ რეკომენდაციებსა და ერთობლივი ხარისხის აღიარების რეკომენდაციებს;

*იღებს რა მხედველობაში* ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ ერთობლივად შემუშავებულ დიპლომის დანართს, რომელშიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღნიშვნით ხელს უწყობს კვალიფიკაციების აღიარებას;

*იღებს რა მხედველობაში* ევროკომისიის “ევროპას”<sup>2</sup>, ასევე კრედიტების სისტემის განვითარებას, კერძოდ, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემას(ECTS);

*იღებს რა მხედველობაში* კონვენციის მონაწილე მხარე ქვეყნებში არსებულ გამჭვირვალობის სხვა მსგავს ინსტრუმენტებს;

*იღებს რა მხედველობაში* ევროსაბჭოს/იუნესკოს აკადემიური აღიარებისა და მობილობის ევროპული საინფორმაციო ქსელის (ENIC)<sup>3</sup> და ეროვნული საინფორმაციო ცენტრების მიერ განხორციელებულ საქმიანობას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;

*იღებს რა მხედველობაში*, რომ ევროსაბჭო და იუნესკო ყოველთვის ხელს უწყობენ აკადემიურ მობილობას, როგორც სხვადასხვა კულტურისა და ენების უკეთ გაგების საშუალებას და რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური ან სექსუალური

<sup>1</sup> წინამდებარე დოკუმენტში “ლისაბონის აღიარების კონვენციის” მაგივრად გამოიყენება “კონვენცია”  
<sup>2</sup> ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2004 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება 2241/2004/EC საერთო ჩარჩო კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობისათვის (Europass).  
<sup>3</sup> ENIC-ის ზოგიერთი ცენტრი არის ასევე NARIC-ის ცენტრიც და ყველა თანამშრომლობს ENIC/NARIC-ის ქსელის მეშვეობით

დისკრიმინაციის გარეშე;

ითვალისწინებს, რომ უცხო ქვეყანაში სწავლა ან მუშაობა ხელს შეუწყობს პიროვნების კულტურულ და აკადემიურ განვითარებას, ისევე როგორც გააუმჯობესებს პირის კარიერულ პერსპექტივას;

ითვალისწინებს რა კვალიფიკაციების ჩარჩოების განვითარებას სუბნაციონალურ, ნაციონალურ და ევროპულ დონეებზე (მ.შ. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს(QF-EHEA) და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო(EQF-LLL));

ითვალისწინებს, რომ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში არსებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები უმეტეს შემთხვევაში თვით-სერტიფიცირებული ან/და რეფერენსირებულია ევროპულ ჩარჩოებთან QF-EHEA და EQF-LLL მიმართებაში;

იღებს რა მხედველობაში, რომ არსებობენ ლისაბონის აღიარების კონვენციის მხარეები, რომლებსაც არა აქვთ ვალდებულება QF-EHEA ან/და EQF-LLL-ის მიმართ, მაგრამ მათ აქვთ კვალიფიკაციების ჩარჩოები ან შეიძლება შექმნან შესაბამისი ჩარჩოები;

იღებს რა მხედველობაში, რომ სწავლის შედეგები არის ის საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოები და აღიარების პრაქტიკა;

იღებს რა მხედველობაში, რომ კვალიფიკაციის ჩარჩოები მოიცავს ან/და მიუთითებს პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასა და კვალიფიკაციების გამცემ დაწესებულებებზე;

ითვალისწინებს, რომ კვალიფიკაციების აღიარება არის არსებითი წინაპირობა აკადემიური და პროფესიული მობილობისათვის, ისევე როგორც ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებისათვის;

რეკომენდაციას აძლევს „ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების“ კონვენციის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს:

- I. აღიარების პოლიტიკის ჩამოყალიბებისას ყურადღება მიაქციონ წინამდებარე რეკომენდაციების დანართით დადგენილ პრინციპებს, რომელიც ამ რეკომენდაციის ნაწილს წარმოადგენს;
- II. აღნიშნული პრინციპებზე ყურადღება მიაპყრობინონ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს;
- III. ხელი შეუწყონ აღნიშნული პრინციპების განხორციელებას სამთავრობო სააგენტოების, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისა და ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ;
- IV. უზრუნველყონ ამ რეკომენდაციების ფართო გავრცელება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებულ ყველა პირსა და სააგენტოს შორის.

მოუწოდებს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს და იუნესკოს გენერალურ დირექტორს გადაუგზავნოს წინამდებარე რეკომენდაციები იმ ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ ლისაბონის აღიარების კონვენციის მიღების დიპლომატიურ კონფერენციაზე, მაგრამ არ გახდნენ აღნიშნული კონვენციის მხარეები.

## დანართი

### უცხოური კვალიფიკაციების აღიარებისას კვალიფიკაციების ჩარჩოს გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის დანართი

#### I. განსაზღვრებები

##### 1. ზოგადი ტერმინები

ა) წინამდებარე რეკომენდაციებში გამოყენებული ზოგადი ტერმინები იგივეა, რაც გამოყენებულია ლისაბონის აღიარების კონვენციაში და მოცემულია კონვენციის განსაზღვრებებში (განყოფილება I).

##### 2. წინამდებარე რეკომენდაციის სპეციფიკური ტერმინოლოგია:

ა) “ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო/ჩარჩოები” აღნიშნავს კვალიფიკაციების ჩარჩოებს, რომელიც შემუშავდა ნაციონალურ ან სუბნაციონალურ დონეზე და სპეციფიკურია ქვეყნის განათლების სისტემისათვის;

ბ) “საერთო/ყოვლისმომცველი ჩარჩოები” აღნიშნავს რეგიონულ ჩარჩოებს, რომელთანაც დაკავშირებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები (მაგალითად, QF-EHEA და EQF-LLL)

გ) “კვალიფიკაციები ჩარჩო/ჩარჩოები” ზოგადად შეეხება ორივეს ეროვნულ და საერთო ჩარჩოებს.

#### II. გამოყენების სფერო და ზოგადი მოსაზრებები

1. რეკომენდაცია ორიენტირებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებისა და უმაღლეს განათლებაში დაშვების კვალიფიკაციების აღიარებისას კვალიფიკაციების ჩარჩოების, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროსა და გამჭვირვალობის ინსტრუმენტის გამოყენებაზე;

2. რეკომენდაცია ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პერსპექტივიდან გამომდინარე, კვალიფიკაციების ჩარჩოებმა შეიძლება ასევე შეუწყონ ხელი წინმსწრები განათლების აღიარებას, ვინაიდან კვალიფიკაციების ჩარჩოები კვალიფიკაციებს აღწერენ სწავლის შედეგებით მათი მიღწევის სასწავლო გზებისგან დამოუკიდებლად. ის ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ კვალიფიკაციების ჩარჩო შეიძლება გამოყენებულ იქნეს შრომის ბაზარზე დაშვების ხელშეწყობის მიზნითაც.

3. რეკომენდაცია მიუთითებს იმ მიდგომებზე, როცა კვალიფიკაციების ჩარჩოების გამოყენება შეიძლება სასარგებლო იყოს, როგორც უცხოურ კვალიფიკაციებს და მიმღები ქვეყნის რელევანტური კვალიფიკაციებს შორის მსგავსების დასადგენად, ასევე ამ კვალიფიკაციებს შორის საფუძვლიანი განსხვავებების არსებობის საჩვენებლად.

4. ის ფაქტი რომ ყველა ქვეყანას არა აქვს კვალიფიკაციების ჩარჩო, მ.შ. კონვენციის ხელმომწერებსაც, არ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ ქვეყნის კვალიფიკაციების აღიარებისას. ამის მსგავსად, ბევრი ძველი კვალიფიკაცია შეიძლება არ იყოს განთავსებული კვალიფიკაციების ჩარჩოში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას უკვე აქვს ჩარჩო.

5. ეროვნული კვალიფიკაციები ჩარჩოები ხელს უწყობს აღიარებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ურთიერთაკავშირებულია გამჭვირვალე და კომპარატიული გზით, თვით-სერტიფიცირებით და რეფერენსირებით, ისეთ საერთო ევროპულ ჩარჩოებთან როგორცაა, QF-EHEA და EQF-LLL.

6. მხოლოდ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს არსებობას არ მიყევართ “ავტომატურ აღიარებამდე,” მაგრამ კვალიფიკაციების განთავსება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში და ამუკანასკნელის კავშირი ერთ ან მეტ საერთო/ყოვლისმომცველ ჩარჩოსთან იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას კვალიფიკაციის აღიარების პროცესში.

### III. რეკომენდაციები

1. აღიარების უფლებამოსილმა ორგანომ და ენიკის ქსელმა კვალიფიკაციების სამართლიანი აღიარების ხელშეწყობის მიზნით შეიმუშაონ ერთობლივი გაგება/მიდგომა ეროვნული, ევროპული და სხვა საერთო/ყოვლისმომცველი ჩარჩოების გამოყენებასთან დაკავშირებით და განსაზღვრონ მათი გამოყენების ხელსაყრელობა და გამოწვევები;
2. კვალიფიკაციების ჩარჩოების გამოყენებამ აღიარების უფლებამოსილ ორგანოს უნდა გაუადვილოს უცხოური კვალიფიკაციების აღიარება;
3. კვალიფიკაციების ჩარჩოების გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ აღიარების ხუთი ძირითადი ელემენტი: დონე, სწავლის შედეგები, ხარისხის უზრუნველყოფა, სასწავლო დატვირთვა და პროფილი. ამასთან, კვალიფიკაციების ჩარჩოები იძლევა შეზღუდულ ინფორმაციას როცა საქმე ეხება კვალიფიკაციის პროფილს.
4. აღიარების პრაქტიკაში კვალიფიკაციების ჩარჩოების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად შემდეგი პრინციპები უნდა გამოვიყენოთ:

#### ა) დონე

- I. თუ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო თვითსერტიფიცირებული ან რეფერენსირებულია, მაშინ არსებობს ზოგადი წესი, რომ აღიარების უფლებამოსილ ორგანოს არ სჭირდება კვალიფიკაციის დონის შემდგომი გამოკვლევა;
- II. იმ შემთხვევაში თუ კვალიფიკაციები რეფერენსირებულია/თვითსერტიფიცირებულია საერთო/ყოვლისმომცველი ჩარჩოს ერთსა და იმავე დონეზე, ისინი განიხილება, როგორც ფართოდ ურთიერთთავსებადი კვალიფიკაციები;
- III. როდესაც ადგილი აქვს დონეების შეუსაბამობას, მაშინ უნდა გამოვიყენოთ კვალიფიკაციისათვის სპეციფიკური ინფორმაცია, მათ შორის, დიპლომის დანართი და სხვა დოკუმენტები. ამ შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ კვალიფიკაციის გამცემ ქვეყანაში ამ კვალიფიკაციის ფორმალური უფლებები.

#### ბ) სწავლის შედეგი

- I. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და საერთო/ყოვლისმომცველი კვალიფიკაციის ჩარჩოების სწავლის შედეგები არის ზოგადი და უზრუნველყოფს ათელის წერტილებს აღიარებისათვის;
- II. იმ შემთხვევებში, როდესაც კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრული სწავლის შედეგები არასაკმარისია აღიარების მიზნებისათვის, უნდა გამოვიყენოთ უსდ-ს მიერ მოწოდებული, უფრო დეტალური სწავლის შედეგები. დიპლომის დანართში ან სხვა დოკუმენტში აღწერილი სწავლის შედეგები გამოსადეგია აღიარების მიზნებისათვის.

#### გ) ხარისხის უზრუნველყოფა

- I. აღიარებას, კვალიფიკაციების ჩარჩოსა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის უნდა ჩამოყალიბდეს გამჭვირვალე ურთიერთკავშირი;
- II. თუ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო უკვე თვითსერტიფიცირებული ან რეფერენსირებულია, მაშინ არსებობს დაშვება, რომ ინდივიდუალური კვალიფიკაციები, რომელიც კვალიფიკაციების ჩარჩოში არის ჩართული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ ხარისხით უზრუნველყოფილია. ამიტომ, როგორც წესი, აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის საჭირო აღარაა კვალიფიკაციის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხის დამატებით მოძიება.

#### დ) სასწავლო დატვირთვა

იქიდან გამომდინარე, რომ კვალიფიკაცია შეძლებისდაგვარად უნდა შეფასდეს სწავლის შედეგები საფუძველზე, აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა შეფასების პროცესში შეიძლება ასევე იხელმძღვანელონ იმ სასწავლო დატვირთვით, რომელიც აუცილებელია სტუდენტისათვის მოცემული კვალიფიკაციის მისაღწევად. ჩვეულებრივ ეს გამოიხატება კრედიტებში და მიუთითებს იმ ტიპურ სასწავლო დატვირთვას, რომელიც აუცილებელია კვალიფიკაციასთან ასოცირებული სწავლის შედეგების მისაღწევად.